საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/60

ქ. ბათუმი 17 დეკემბერი, 2019 წელი

,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ნოემბრის №01-08/710 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 20 ნოემბრის MES 1 19 01587470 მოხსენებითი ბარათის, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 დეკემბრის N01-08/733 ბრძანების და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 24 დეკემბრის MES 0 19 01756192 მოხსენებითი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის **დამტკიცების** თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, გადაწყვეტილების დამტკიცებული წესის:

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ე“ და ,,ვ“ ქვეპუნქტები:

,,ე) 2019-2020 სასწავლო წლის ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შესაძლებელია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გახანგრძლივდეს არაუგვიანეს **2020 წლის 16 იანვრისა,** თუკი სტუდენტს გადახდილი ექნება სწავლის წლიური საფასურის ნახევარი მაინც;

ვ) **2019-2020 სასწავლო წლის** ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცემული **ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში** სტუდენტის ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ სტუდენტის ნაწილში ბსუ-ს რექტორის ბრძანება.";

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

,,2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთა მიერ **2020 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე** (2020 წლის 23 მარტი) 2 (ორი) კვირის ვადაში, მაგრამ **არაუგვიანეს 2020 წლის 20 მარტისა** განხორციელდეს:

ა) **აკადემიური რეგისტრაციისა** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) **და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა** (სწავლის წლიური საფასურის - **3300 აშშ** დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა) - ბსუ-ში **II ; V** და **VI ნაკადებზე** ჩარიცხული პირების მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრი);

ბ) **მხოლოდ აკადემიური რეგისტრაციის** (სასწავლო კურსების დარეგისტრირება) **გავლა** - ბსუ-ში I, III, IV და VII ნაკადებზე ჩარიცხული პირების მიერ (ამ ნაკადების სტუდენტთათვის **2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრი - გაზაფხულის სემესტრი).**

2. ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები წინამდებარე გადაწყვეტილების ინგლისურ ენაზე თარგმნისა და ბსუ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მისი გაცნობის უზრუნველყოფისათვის.
3. გადაწყვეტილება და მისი ინგლისურენოვანი თარგმანი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები", ინგლისურენოვან ვებგვერდზე და ,,სტუდენტის გზამკვლევი").
4. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**